შეთანხმება N1

2019 წლის 8 აგვისტოს N მ/ბ-62 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

თბილისი 05.09.2019წ.

ერთის მხრივ, სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტო“, წარმოდგენილი სააგენტოს ხელმძღვანელის მოადგილის - ქრისტინე კაპანაძის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ, შპს „კომპანია Geosm“, წარმოდგენილი მისი დირექტორის - თეიმურაზ ახობაძის სახით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ახალგაზრდობის სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 აგვისტოს N411 დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტო“ წარმოადგენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრუქტურული ერთეულის – ახალგაზრდობის პოლიტიკის მართვის დეპარტამენტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების – ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდისა და ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის უფლებამონაცვლეს. აღნიშნულის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება მხარეთა მიერ 2019 წლის 8 აგვისტოს N მ/ბ-62 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ძირითადი ხელშეკრულებით განსაზღვრული შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელებაში და სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი“-ს ნაცვლად განისაზღვროს სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტო“ (საიდ. კოდი 205382398).

2. წინამდებარე შეთანხმება N1-ის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცვლილება იგულისხმება ძირითადი ხელშეკრულების ყველა იმ ნაწილში, სადაც მითითებულია შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება.

3. 2019 წლის 8 აგვისტოს N მ/ბ-62 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების სხვა პუნქტები დარჩეს უცვლელი.

4. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2019 წლის 8 აგვისტოს N მ/ბ-62 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ძირითადი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

5. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან.

შემსყიდველი: სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტო“

სააგენტოს ხელმძღვანელის მოადგილე ქრისტინე კაპანაძე

მიმწოდებელი: შპს „კომპანია Geosm“

დირექტორი თეიმურაზ ახობაძე

Teimuraz Akhobadze

Digitally signed by Teimuraz Akhobadze
Date: 2019.09.05 13:50:15 +04'00'